

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №56, 28.12. 2005წ, მუხლი 433) შეტანილ იქნეს შემდეგი შინაარსის ცვლილება და დამატებები:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹“ ქვეპუნქტი:
„ე¹) საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეებს;“

2. IV თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის 15³ მუხლი:
„მუხლი 15³. საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეების კომპენსაციის გაანგარიშება

საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეებს კომპენსაცია ენიშნებათ დაზვერვის სამსახურში, სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებში, სახელმწიფო დადვის სპეციალურ სამსახურში მუშაობის პერიოდის ჩათვლით და მისი ოდენობაა:

ა) 55 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 0,75%-ს ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;

ბ) 55-დან 60 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 1%-ს ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;

გ) 60-დან 65 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 1,25%-ს ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;

დ) 65 წლის ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 1,5%-ს ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე.“

3. მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო კომპენსაცია ენიშნებათ ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „დ¹“, „ე“, „ე¹“, „ვ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, რომელთა შესაძლებლობების შეზღუდვა დაკავშირებულია სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდთან.“

4. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ¹“, „ე“, „ე¹“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირთათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო კომპენსაციის ოდენობაა:

ა) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში - სტატუსის დადგენის მომენტისათვის თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ის ნამრავლი ნამსახურობის 20 წელზე, ნამსახურობის სტაჟის მიუხედავად;

ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში – ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის 125%.”

5. IV თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22¹ მუხლი:

„22¹. კომპენსაცია საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის გარდაცვალების გამო

საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობაა ამ კანონის მე-15³ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის 75%, მიუხედავად გარდაცვლილის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღების უფლების მოპოვებისა. ამასთანავე, გარდაცვლილის ნამსახურობის მინიმალური სტაჟი უთანაბრდება 20 წელს. კომპენსაცია ენიშნებათ გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე, მის შრომისუუნარო მეუღლეს, მშობლებს და შვილებს”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი